9 ივნისი, 2016

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ჯგუფის პირველი შეხვედრის ოქმი

შეხვედრის დღის წესრიგი:

პრეზენტაცია თემაზე – ტექნიკური რეგულაციებისა და სტანდარტების ეტაპობრივი ჰარმონიზება ევროკავშირის სტანდარტებთან.

კითხვა –პასუხი | დისკუსია (ჩართული იყვნენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საგარეო საქმეთა სამინისტროს, "აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო აკრედიტაციის ცენტრის"; „სამშენებლო და ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურის"; „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს" და კერძო სექტორის წარმომადგენლები).

ესწრებოდნენ:

ზვიად ჭუმბურიძე, ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭოს (EUGBC) გენერალური მდივანი

არჩილ ყარაულაშვილი, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე

მარიამ გაბუნია, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს საერთაშორისო ვაჭრობის დეპარტამენტის უფროსი

კახა გოგოლაშვილი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის (GFSIS) ევროპული კვლევების ცენტრის დირექტორი

ნინო ჩოხელი, მმართველობა განვითარების (G4G) პროექტის ეკონომიკური მმართველობის პოლიტიკის ექსპერტი

პაატა გოგოლიძე, აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს გენერალური დირექტორი

რამაზ ობოლაძე, ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო უფროსის პირველი მოადგილე

გიორგი ჩიტაძე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სავაჭრო მოლაპარაკებებისა და ევროკავშირთან ღრმა და

ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების განხორციელების კოორდინაციის სამმართველოს უფროსი

განხილული საკითხები:

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ჯგუფის პირველი სამუშაო შეხვედრა გახსნა არჩილ ყარაულაშვილმა, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პირველმა მოადგილემ, რომელმაც მადლობა გადაუხადა ორგანიზატორებსა და ჯგუფის წევრებს მონაწილეობისთვის და ხაზი გაუსვა DCFTA-ს იმპლემენტაციის პროცესში მსგავსი ფორმატის სამუშაო ჯგუფის მნიშვნელობას.

დამსწრეებს სიტყვით მიმართა მარიამ გაბუნიამ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საერთაშორისო ვაჭრობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, რომელმაც აღნიშნა, რომ DCFTA-ის ეფექტური იმპლემენტაციისთვის აუცილებელია სახელმწიფოს, ბიზნესისა და კერძო სექტორის თანამშრომლობა.

მონაწილეებს მიესალმა „ევროკავშირი–საქართველოს ბიზნეს საბჭოს“ გენერალური მდივანი, ზვიად ჭუმბურიძე, რომელმაც აღნიშნული სამუშაო ჯგუფის შექმნის მიზანზე და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

მისასალმებელი გამოსვლების შემდეგ სფეროს ექსპერტებმა, კახა გოგოლაშვილმა და ნინო ჩოხელმა **წარადგინეს წინასწარ მომზადებული ანალიტიკური მასალა თემაზე – ტექნიკური რეგულაციებისა და სტანდარტების ეტაპობრივი ჰარმონიზება ევროკავშირის სტანდარტებთან, რომელიც პასუხობდა შემდეგ კითხვებს:**

- რას წარმოადგენს ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში?
- როგორ ეპყრობა ტექნიკური ბარიერების საკითხს საერთაშორისო თანამეგობრობა?
- როგორ იმართება ტექნიკური ბარიერების შემცირების საკითხი საქართველო-ევროკავშირის შეთანხმებით?
- როგორ იმართება ტექნიკური ბარიერების საკითხები საქართველოში არსებული კანონმდებლობით?
- როგორ ხდება მიღებული რეგლამენტებისა და კანონების განხორციელების კონტროლი?
- შემდგომი ნაბიჯები/რეკომენდაციები

რეკომენდაციების ნაწილში ექსპერტებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ საჭიროა:

- აკრედიტაციის ეროვნული ორგანოს საერთაშორისო აღიარება ქართული პროდუქციის ექსპორტის გაადვილების კუთხით.

- განისაზღვროს ის პრიორტეტული სფეროები, რომლებიც, ერთი მხრივ, შედარებით ადვილი ჰარმონიზაციის და პრაქტიკის დაახლოების შესაძლებლობას იძლევა, და, მეორე მხრივ, ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის მატარებელია.
- განისაზღვროს არარეგულირებადი სამომხმარებლო საქონელის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი ორგანო და ამოქმედდეს ზედამხედველობა.
- შესწავლილ იქნას რატომ არ ფუნქციონირებს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის კერძო საინსპექციო ორგანოები და გადაიდგას შესაბამისი ნაბიჯები მათ ასამოქმედებლად ან შემუშავდეს ალტერნატიული მექანიზმის ბაზარზე ზედამხედველობის სრულყოფილი ზედამხედველობისთვის.
- საქართველოს საზღვარზე მოხდეს საქონლის შემოწმება ტექნიკურ რეგულაციებთან შესაბამისობის კუთხით. საჭიროა დაჩქარდეს საბაჟო გამშვებ პუქტებზე შესაბამისი კონტროლის დანერგვა, რაც, თავის მხრივ შეუმსუბუქებს ბაზრის ზედამხედველობის სამსახურს დაკისრებული ვალდებულებების ტვირთს.
- აუცილებელია პასუხისმგებელი სახელმწიფო სტრუქტურების ბიზნესთან და სხვა დაინტერესებულ აქტორებთან განსაკუთრებული, რეგულარული ურთიერთობების ინსტიტუტის შექმნა, მათი სრულად ჩართვა რეფორმების პროცესში და კონსულტაციების წარმოება ცვლილებების შესაძლო ზეგავლენისა და მათი ნეგატიური ეფექტის შემდგომი შერბილებისთვის.

პრეზენტაციის შემდგომ შეხვედრა კითხვა–პასუხის რეჟიმში გაგრძელდა, რა დროსაც გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრება ზემოთაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

მარიამ გაბუნია (საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს საერთაშორისო ვაჭრობის დეპარტამენტის უფროსი) :

ზოგადად, ექსპერტთა რეკომენდაციების უდიდესი ნაწილი შეეხება რეგულაციების ეტაპობრივ ამოქმედებას. მინდა ვთქვა, რომ მოლაპარაკების პროცესში არის ასეთი მიდგომა – დავიცვათ როგორც ბიზნესის, ისე მომხმარებელთა უფლება. ჩვენ უნდა დავიცვათ ოქროს შუალედი, რათა ცვილებები ბიზნესისთვის წნეხი არ აღმოჩნდეს. ჩვენი ქვეყანა არ არის ინდუსტრიული მწარმოებელი, უფრო აქტუალური საკითხია სურსათის უვნებლობა. ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა სოფლის მეურნეობის სფეროშია დასაქმებული და აქ გატარებული რეფორმები, შესაძლოა, მათთვის ძალიან მტკივნეული აღმოჩნდეს.

მოლაპარაკებების პროცესში შევისწავლეთ სხვა ქვეყნების, მაგალითად ბალტიისპირეთის გამოცდილება. იქ სურსათის უვნებლობის სფეროში რეგულაციები სწრაფად დაინერგა, რის შედეგადაც მცირე მეწარმეების 70% გაკოტრდა. ჩვენ ევროკავშირი გვეხმარება, მაგრამ არ ვართ წევრობის კანდიდატი ქვეყანა და შესაბამისად, დიდ დაფინანსებას არ უნდა ველოდოთ.

ჩვენ შეიძლება ითქვას, რომ ვცდით ჩვენს ძალებს და სურსათის უვნებლობის რეფორმა 13 წელზეა გაწერილი, გათვალისწინებულია 8 წლიანი გარდამავალი პერიოდი.

ჩვენ ვცდილობთ გავითვალისწინოთ ორივე მხარის ინტერესი, თუმცა ცვლილებები ეტაპობრივად ხდება და ძალიან მნიშვნელოვანია ბიზნესმა იცოდეს როდის რა რეგულაცია შემოდის, იმისთვის რომ მოემზადონ. ჩვენ ყოველთვის ღია ვართ ამ ტიპის კომუნიკაციებისთვის.

ზვიად ჭუმბურიძე (ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭოს (EUGBC) გენერალური მდივანი):

ნამდვილად აუცილებელია ბიზნესმა იცოდეს როდის რა ელოდება, შიდა კომუნიკაცია უნდა მოხდეს.

რამაზ ობოლაძე (ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო უფროსის პირველი მოადგილე) :

რამდენიმე საკითხს გამოვყოფდი:
ჩვენი სააგენტოს ფუნქციებია მომატებული რისკების ობიექტების ზედამხედველობა, და ასევე, ყოველდღიური პროდუქტების. ტექნიკური რეგულაციებისა და აკრედიტაციის სფეროს განვითარებისთვის არსებობს შესაბამისი სტრატეგია, რომელიც ქართულმა მხარემ ჩამოაყალიბა და გააჩნია შესაბამისი პროგრამა. არის ცხრილი, სადაც განსაზღვრულია ყველა დირექტივა და მასზე პასუხისმგებელი ორგანო. არცერთი დირექტივა არ არის უმისამართოდ და მითითებულ ორგანოებში არიან პასუხისმგებელი პირები. მათ შორის დირექტივათა დიდი რაოდენობა ჩვენს სააგენტოზეა. რაც შეეხება არარაგულირებად საფეროზე ზედამხედველობას, ესეც სააგენტოს ფუნქციებში შედის.

ამ ეტაპზე ვამთავრებთ ტრენინგებს „ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში. ვიყავით ლიტვასა და დიდ ბრიტანეთში. უახლოეს მომავალში დაიწყება უკვე დაახლოვების პროგრამა.

რაც შეეხება დირექტივათა ეფექტურ შესრულებას, საჭიროა მაკონტროლებელ ორგანოებსა და შესაბამისს ორგანიზაციებს შორის იყოს მჭიდრო კავშირი.

გიორგი ჩიტაძე (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სავაჭრო მოლაპარაკებებისა და ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების განხორციელების კოორდინაციის სამმართველოს უფროსი):

შეთანხმება ACAA ეხება შესაბამისობის აღიარების საკითხს და ეხება იმ ქვეყნებს, რომლებიც არ არიან მისი წევრები, თუმცა აქვთ სავაჭრო ურთიერთობები

ევროკავშირთან. ინფორმაცია, რომ სანამ ACAA-არ გვექნება, ევროკავშირში პროდუქციას ვერ შევიტანთ, არასწორია. უბრალოდ როცა პროდუქცია ACAA-ს დაექვემდებარება, ის აღარ გაივლის დამატებით შემოწმებას.

რომან ბადალიანი, კომპანია UBG:

საჭიროა ქვეყანაში იყოს თანამედროვე ლაბორატორიები და ხარისხის კონტროლის მექანიზმები პროდუქციის სერთიფიცირებისთვის. მე, მაგალითად მიწევს რუსული სერთიფიკატის გამოყენება, რაც დამატებით დროს და მატერიალურ რესურსს მოითხოვს.

მარიამ გაბუნია:

ძალიან აქტიურად ვმუშაობთ იმაზე რომ ჩვენმა აკრედიტაციის ცენტრმა მიიღოს საერთაშორისო აღიარება. დიდი იმედი გვაქვს, რომ ეს პრობლემა მალე მოგვარდება. უნდა აღვნიშნო ის, რომ აკრედიტაციის ცენტრის აღიარება, მაგრამ, გეთანხმებით რომ უნდა იყოს ლაბორატორიები. თუმცა, თანამედროვე ლაბორატორიების გასამართად უნდა იყოს ბაზარზე საკმარისი მოთხოვნა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბიზნესოპერატორს არ აწყობს შეიძინოს ძვირადღირებული აპარატურა ლაბორატორიისთვის, თუ საკმარის თანხას ვერ ამოიღებს. მას უნდა უღირდეს ამ ტიპის სერვისის შემოტანა ქვეყანაში, რაც გასათვალისწინებელია.

კახა გოგოლაშვილი, ექსპერტი:

საჭიროა კარგად შემუშავდეს პრიორიტეტების სია, განისაზღვროს რეგულაციები რომელთა დაუყოვნებლივი იმპლემენტაცია არ არის აუცილებელი. რაც შეეხება ეს ACAA-ს, ჩვენი პროდუქცია ევროკავშირის ბაზარზე DCFTA-ზე ხელის მოწერის გარეშეც შევა, მაგრამ მეტი სირთულე იქნება. თუ ჩვენ ვსაუბრობთ მაქსიმალურ შედეგზე, ACAA მიღება მნიშვნელოვანია, რადგან ამ დროს პრაქტიკულად ყველა ბარიერი იხსნება, როცა სხვა შემთხვევაში ბარიერები ისევ რჩება.

სამშენებლო პროდუქტების შეფასებასთან დაკავშირებით მინდა აღვნიშნო, რომ სასურველია შესაბამისობის შემფასებელი და აკრედიტირების ორგანოები სახელმწიფოს მიერ დაარსდეს, რადგან აღნიშნული დაწესებულებები მნიშვნელობას შეიძენს რეგიონის მასშტაბითაც. დაინტერესებული იქნება მაგალითად, სომხეთი და აზერბაიჯანი, სადაც სამშენებლო ბიზნესი ძალიან აქტიურ ფაზაშია.